

ნიშადური



№ 5.

ეკველკვირეული ჟურნალი

1907 წ.

ილია ჭავჭავაძე კუბოში სოფ. საფურამოს.
„ნიშადურის“ კორესპონდენტის ნახატი.



ილია ჭავჭავაძის სიკვდილზე

კვალად ატრემლდა ბუნება,
მთას მოეხვია ნისლიო,
იგლოვე მშობელ-ქვეყანაგ—
მოგაკლდა ბურჯი—შვილიო,

შენი ქირ-ლხინის მოზარე,
და შენი გამომწვრთენილიო;
ვინაც შენ შემოგალია
სიცოცხლე თვისი—ჩვილიო!

„ქართველი დედა“
„კაკო,“ „ზაქარა“



უმენოთ დაობლებული
 მღურაფი ქვეყნის ქირისო,
 „გუთნისა დედა“ გამწარდა,
 ხმა შორით ისმის „მწირისო“
 განდევილობას დაეხსნა
 ქვეყნის სიობლეს სჩივისი!..

„აჩრდილი“ კავკასიონსა
 თითქო უგზავნის მღურვასო,
 „გლახა“ გულმწარედ მოგვითხრობს
 ცხოვრებით სულის ხუთვასო,
 „ქვანი ლალადვენ“ სამშობლოს
 აკლებს—აოხრებასო,
 „სარჩობელაზე“ ასული
 სწყევლის ბედისა ბრუნვასო!..

წახვედი ველარ ვიხილავთ.
 მებრძოლო, შენსა სახესა,
 შენს სიტყვებს დალაგებულსა,
 მტერთ რო უგებდი მახესა;
 მაშერ-ლთა გულის მალამოს,
 მხაგვრელთა გასამწარესა,
 მოგვშორდი, ველარა ჰნახავ
 ჩვენს ცოდვით სავსე მხარესა!..

განქრა, ვითარცა აჩილი,—
 ხელთა გვაქვს მისი ქმნილება:
 სულის და გულის საოხი
 ცხოვრების გამოწვრთნილება,
 წინაპრებისა ანდერძი—
 გმირების გამოცდილება,
 ლამპარი გაუქრობელი,
 მისი გვირგვინი—დიდება!..

ორინი.

პოეტის მკვლელებს.

„მას დედისა ძუძუ ტკილი
 შხამათაცა შერგებია“
 და შხამ—გესლიანი სისხლი
 ბალღამათ შეგუბებია,
 რომლის წყეულმა ხელებმა
 განგმირა მგოსნის გულია
 და შარა—გზახედ მიაგლო
 უსულო, წამებულია!
 გველ—ბაყაყები და ჯოჯო
 იყოს მის თანა ზიარი,
 იმათთან ჰქონდეს ერთობა,
 დღე ვერ ენახოს მზიანი!
 შმაგათ დაძრწოდეს ტყე—ველათ,
 ჰკრთოდეს ფოთლისა შრიალზე,
 სალი კლდეც პასუხს აძლევდეს
 კრულვით მის მხეცურ ღრიალზე!
 თვისი აჩრდილის დანახვა

შიშის ზარს სცემდეს მულამა;—
 სისხლში მოსვრილი ხელები
 არ მიიბაროს მიწაში!
 ყვაე—ყორნის კერძი შეიქნეს
 მისი ხორცი და სულია,—
 ვინც ვერაგულათ, უაზროთ
 მოგვიკლა ჩვენი ილია.

ვ. მახხულია.

ილია ზავჭავაძის ხსოვნას.

გულო გაქვავდი, ნულა ძგერ,
 გრძნობავ, დაჩლუნგდი ბეჩავო,
 ყურებო დახშეთ სასმენი,
 შესდგე ცხოვრებავ ბედშავო!..

თავს ეს რა მეზი დაგვეცა,
 ყველასი გულის საკლავი?!
 ჩვენს სიამაყეს, დიდებას
 ვინ მოუსწრაფა საფლავი?
 ვინ გვასვა შხამი, სამსალა
 ჩვენი სიცოცხლის მწამლავი?!
 ბოროტმა ხელმა მოსწყვიტა
 ჩვენს სამშობლო ცას ვარსკვლავი!
 ქართველნო! შევეკრბეთ, ვილოცოთ
 ჩვენი მამა და აღმზრდელი,
 საკეთილდღეოთ ერისა
 გრძნობა გონების აღმძვრელი!
 მოვძებნო კვალი იუდის,
 უღვთო, ვერავის მტერისა,
 მით მოვირეცხოთ ეს ჩირქი
 მთელის ქართველის ერისა...
 ბოროტნო სულნო, ვერავნო,
 ნუ თუ მოკალით ილია?!
 ის არ მოკვდება აროდეს,
 თქვენი განზრახვა ტყვილია?
 სანამ ქართველთა ხსენება
 არ დაიმარხვის სამარეს,
 მანამ მის ხსოვნას ქართველი
 უკვდავის სულით ატარებს!

მისი ამაგი უკვდავად
 დარჩება ქვეყნად მანამდე,
 სანამ ივერი არსებობს
 ამიერ უკუნისამდე!
 მაგრამ რა? ვაი სირცხვილო!
 რით გაღუხადეთ ამაგი?..
 თავდაღმა მივექანებით...
 აჰა, ამისი მარავი!..

უკვდავო, დიდო პოეტო,
 ლამპარო მთელის ერისა,
 შენ წილ, ჩვენთვის სხვა ილიას,
 აწ ვინლა მოესწრებისა?

ვინ გასწევს მესვეურობას.
ვის ვუწოდებდეთ ბელადსა?
გამოკედ-გამობრძნელებულს,
შენებრს, ვის ვპოევებთ ღეთის მადლსა?

ვაი სირცხვილო! სირცხვილო!
რალას გვიშველის ვაება?
იუდას ნამოქმედარი
განა უკუვე ბრუნდება!

პოეტო! ერთხელ ასე სთქვი:
„კაცს შენხედ შურით მწდომსაო
„კეთილი ფარად უფარე
„შენთვის ბოროტის მდომსაო,
„მადლისა წყაროს ასმევდე
„ცოდვის გუბეში მდგომსაო.“

ეს შენაცოდი შეუნდევე
ამ შენს კირნახულს მხარესა.
ამ „შხამსა“ შენი სამშობლო
მუდამჟამ იმწუხარესბა.

რ. საჯავახოელი.

მგოსანი და მისი მკვლელი

ვინც ზენაარსით შეიქნა
ფილოსოფოსი მგოსანი;
თავის ერსა მოველინა
წინამძღოლად სხივოსანი;

ვინც სიყრმიდანვე იბრძოდა,
ერს შესწირა აზრი, ნიჭი;
ერსა დახშულ-დაჩაგრულსა
წაადგმია წინ ნაბიჯი;

ვინც მწერლობა დააყენა,
შექმნა ენა კლასიკური;
ერსა მისცა ახალი გზა,
დაგმო ქველი, ეშმაკური;

ვინც თავის ერს დაძინებულს
წლით-წლობამდე ადვიცებდა,
ვინც მუდამეხმს დიდს-პატარას
ზნეობრივის საზრდოთ კვება;

ვინც მოხუცდა და მოესწრო
თავის ერის გულადობას,
და მტრის წინა მათ ხედავდა
მისებრ გულის ფოლადობას;

ვინც მოესწრო თვის საწადელს
და ელოდა კიდევ მეტსა:
ქართველთ განთავისუფლებას,
სიყვარულზე გადამეტსა,

— იმან ნაცვლად მიიღო
გულს და შუბლში ცხელი ტვია!
მისი მკვლელი საზიზღარი
ხალხს ერევა, არც ატყვიან!
იქნებ კიდევ გაგიციანებს
ის ვერაგი დღეს რომ ნახო!
ნეტავ ერთხელ მოიფიქროს
ბილწი ხელი ვის შეახო!?

კირკა.

ხშირად მოხთება ხოლმე რომ დაქუცმაცებულ
საზოგადოებაში შეუძლებელია გაერთიანები
იმ საზოგადო კიბვანზე საერთო ნიადაგის უქონლო-
ბის გამო. რა თქმა უნდა, ესეთი გარემოება უფრო
ანაწილებს ისედაც დაქუცმაცებულ პროგრესიულ
ძალებს.

უმრავლესობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში
მოძრაობის გარეშე სდგას ხოლმე, როცა მებრძოლ
ძალთა განაწილებას უყურებს უფრო განზე იწევს
და საკუთარ ინიციატივას ზ თვით მოქმედებას მოკ-
ლებული, იგი სრულებით ირ ერევა „სახიფათო
საქმეში“ და სოროში იმალება.

არც გასაკვირალია, უმრავლესობას არასოდეს
არ უგრძენია სიმწვავე ჭრილობისა ბრძოლით შე-
ძენილი და სიამოვნება გამარჯვების მოლოდინისა...
უმრავლესობას არც შემთხვევა ქონია და არც ხა-
ლისი — ჩაეხენდა ტანჯული ხალხის გულის სიღრ-
მეში, მის მწარე სვე-ბედის დუღილში.

თორემ ვისაც ამ ქვეყნიური ჯოჯოხეთი უნა-
ხავს, რომელშიაც ხალხი კენესის და გოდებს, იგი
ნება უნებლიეთ გაიმსჯვალეა და აღივსება შეუ-
რიგებელის შურისძიებით და მედგარი ბრძოლის
ხალისით ტანჯვისა და ვაების მთესველთა წინა-
აღმდეგ...

მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვით, უმრავლესობა
მფრთხალია, უფერული, უმოძრავო, ზ თუ ერთხელ ან
ორჯერ პირი აქვს მომწვარი, იგი უნდობია და იმედ
დაკარგულიც...

ოღონდაც მრავალნი არიან სასო წარკვეთილები!
ჩვენ ვესურს უთხრათ და ხმა მალლა შევძახოთ
ამ სასო წარკვეთილებს, რომ, --რაც უნდა იყოს,
რაც გინდა დაჩრდილული იყოს მომავლის ჰორიზო-
ნტი, რაც გინდა შავ-ბნელი ღრუბელი აწვეს ცხო-
ვრებას და უზომო უბედურებასაც გვიქადდეს, -- მოძ-
რაობა არ შეწყდება, წინმსვლელობა არ შედგება,
ცხოვრება შეურყვევლად და უშიშრად წინ მიე
შურება!

ამას გვასწავლის მეცნიერება, ამაში გვარწმუ-
ნებს მაგალითები, ამას გვიბრძანებს ლოლიკა და
იდეალი!..

ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო .


ყველა სთვლიდა მომაკვდავად, —
უმზადებდნენ ბნელს სამარეს
და იყოფდნენ უსირცხვილოდ
მისს მშვენიერს არე—მარეს;
ის—კი, თურმე, ძალს იკრებდა
და, ჰა, ფეხზე კვლავ დაძდგარი,
იბრძვის თავის უფლებებისთვის,
ისევ ისე მხნე, მედგარი!

ქართლ—კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
დაქსაქსული, დაყოფილი,
დღეს კვლავ ერთი საქართველო,
ერთ მიზნისკენ მიისწრაფვის,
ერთის გრძნობით გამსჭვალული,
თითქო ცეცხლით და მახვილით
ერთ ემბაზში მონათლული,

და, ვით მთიდან გადმოხეთქილ
ზვავის საზარს ძლიერებას,
წინ ველარა დაუდგება
ამ საერთო მისწრაფებას!...

ლუბუ მეგრელი.

რუსეთის მწერლები და მოღვაწენი.



ლევ ტოლსტოი.

ამ ქაშად არა გვგონია მოიპოვებოდეს იმისთანა წე-
რა-კითხვის მცოდნე კაცი, რომელმაც არ იცოდეს თუ ვინ
არის რუსეთის გამოჩენილი მწერალი ლევ ტოლსტოი.

გრაფ ლევ ნიკოლოზისძე ტოლსტოი დაიბადა 28 აგ-
ვისტოს 1828 წელსა თავის დედისუბლში „იასნაია პოლია-
ნაში“. როცა ხუთმეტის წლის გახდა ლევ ტოლსტოი შე-
ვიდა უზანის უნივერსიტეტში. მე-3 კურსზე იყო რომ უნი-
ვერსიტეტს თავი დაანება და „იასნაია პოლიანაში“ დაბი-
ნავდა. 1851 წელს ტოლსტოი გაემგზავრა კავკასიაში, სა-

დაც იუნკრად ჩაეწერა ტფილისს არტილერიის მეოცე ბრიგა-
დის მეოთხე ბატარეაში, რომელიც დაბინავებულ იყო
თერგის ნაპირას ჩრდილო კავკასიაში. აქედან ტოლსტოიმ
გაუგზავნა პოეტს ნეკრასოვს „სოვრემენიკის“ დასაწყისი
პირველი ნაწილი თავის ავტობიოგრაფიულს თხუზულე-
ბისა „სიყრმე“. როცა ყირიმის ომი დაიწყო, ტოლსტოი
გადადის სევასტოპოლში და მის დაცვაში იღებს მონაწი-
ლეობას. გლეხთა განაჯისუფლების შემდეგ ტოლსტოი შე-
უდბა ხალხის ბანათლებისა და მათთვის სკოლების მართვის
საქმეს ჯერ თავისვე „იასნაია პოლიანაში“ და მერე მთელს
გუბერნიასში. 1861 წ. ცოლად შეირთო სოფია ბერენსის
ქალი, დაცოლშვილების ათი-ხუთმეტი წლის შემდეგ გამო-
დიან მისი შესანიშნავი თხუზულებანი „ომი და ზავი“, „ან-
ნა კარენინას ქალი“ და სხვა დიდებული თხუზულებანი.
წელს ამ ერთი კვირის წინედ შესრულდა გრაფის 55 წლის
თავი, რაც იგი მწერლობაში გამოვიდა. მთელმა განათლე-
ბულმა კაცობრიობამ საღამო უძღვნა ამ დღეს ლევ ტოლ-
სტოის. იგი თუმცა 80 წლის კაცია, მაგრამ ჯერ სრულენით
სალი და საოცარი დიადი ტკუის პატრონია და ბევრსაც მუ-
შაობს. აბერ ოცდახუთი წელიწადია რაც გრაფი გლჯებს
დაუხალგვდა და ბღეხურად იცვამს და იხურავს. თვითონ
ხნავს და თესავს. ტოლსტოი დიდებული მწერალი—ფილო-
სოფოსია და მეცხრამეტე საუკუნის ერთი უდიდესი და შე-
სანიშნავი აღამიანია.


ხალხის ფული რომ ხალხსვე ხმარდებოდეს.

მთავრობა, რომ ქკუათ მყოფელი იყოს, ციხე-
სა და საჯნის მაგიერ სკოლებსა და თეატრებს ააგე-
ბდა. ავადმყოფ სულს და დასევდიანებულ გულს
ბორკილებით, ცემა-ტყეპით, დახვრეტა—ჩამოღრ-
ჩობით ვერავინ ვერ განკურნავს, პირიქით უფრო
გამწვავდება სატკივარი და ათას სხვა უფრო უარეს
ზაფრებს აუშლის ავადმყოფს.

მთავრობის უმთავრესი ყურადღება იმაზეა მი-
ქცეულია თუ რა ზღუდესა და სიმაგრეში მოამწყვ-
დიოს ბოროტის ჩამდენი, ხოლო იმაზე სრულებით
არ ფიქრობს, თუ რა პირობები უნდა შექმნას
ცხოვრებისათვის, რომ ბოროტმოქმედება თან და
თან ცხრებოდეს და ბოლოს სრულებით მოისპოს.

ცხოვრებაში არის ხოლომე ხანდის ხან ისეთი
გარემოება, როდესაც გონების მაგიერ ვნებათა ღე-
ლვა მოქმედობს და სიტყვის მაგიერ მკლავი და ძა-
ლა. როცა სიტყვებზე გაუგებმურდება და არსებო-
ბას ფასი არა აქვს, მაშინ ყოველივე სივალახე
ადვილიც არის და შესაძლოცა.

ის აურაცხველი ფული და შეძლება, რომელიც
წლითი წლობამდე იხარჯება ციხე—საყრობილეთა-
თვის, დარაჯებისა და ყარაულებისათვის დამნაშა-
ვეთა დასასჯელათ, —ცხოვრების გაუმჯობესობას რომ
ხმარდებოდეს, იმ ცხოვრებისა, რომელის წყალო-
ბით მრუდდება და სენიანდება აღამიანის სინიდიხი,
ფრთები ეკვეცება მის აღმა ფრენას და გული ეხო-
კება მოზღვაგებულ ბოლოით და სიმწარით; ესოდენი
ფული, ხალხის სისხლისა და ოფლისაგან გამოწურუ-
ლი, რომ ხალხსვე მესავედიც ხმარდებოდეს, ბოროტ-
მოქმედება, ძარცვა-გლეჯა და კვლა-ხოცვა დიანაც
შემცირდებოდა და მალე გაქრებოდა კიდევ!..



ფეიცავთ ძველს წესებს ერთხელ შერეკულთ,
მის მონა—მონაღოთ მისსავე ერთგულთ!
ფეიცავთ იმისვე განმტკიცებლს,
„რუსთა კავშირის“ ღვთიურს მცნებლს!
ფეიცავთ კრუშევანს, ბობრინსკის გმირსა,
პურიშკევიჩის დიდსა სიყვირსა!

რამ არ შევდრეკებით, არ ვუღალატებთ
ჩვენს ჯვარს, ჩვენს ღატვას, ჩვენს სისხარებს,
„კანამოდნიკთაგან“ შერეკულს რუსეთს,
ბიუროკრატულს მის ძღაეგებს.

წესიერება.

(პოლიტიკური ზღაპარი).

კონსტანტ. კრბერგისა.

იყო ერთი ბნელი, ქუტყიანი, ნაფურთხით
საესე სასტუმრო და იყო ამ სასტუმროში გამულ-
მებული ჩხუბი და აყალ-მაყალი მდგმურებთა შორის.

დაბინავდა ერთხელ ამ სასტუმროში წესიერე-
ბა. თვითონ რაღაც კულმოკვეცილი ბაჯაჯღუნა
იყო და მასთან უცნაური; უცნაური იყო მისი
ხასიათიც. სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის
თან დაქონდა თავისი ალაბი და რადგან თვითონ
ბაჯაჯღუნა იყო ყველაფერს ქვემოდან შეყურებდა და
ამავე მიზეზით ყველაფერს ქვემოდან ზომავდა და
ქრიდა.

მოზომავს თავის ალაბით და რაც კი მეტი
აღმოჩნდება ხოლმე მის ალაბზე, ესე იგი, თექვსმეტ
ვერშოკზე, მაშინათვე მოჭრის, მოწყვეტს და გა-
დაისვრის.

ხალხიც უცნაური დადიოდა წესიერებასთან:
მარტო ფენსაცმელები და შალვრები ეცვათ ახლად
ახლები და გაუთოებულები; სხვა რამ ნიშანი კაცისა
არა ემჩნეოდათ-რა;—ალბად წესიერებას ჩვეულები-
სამებრ მოეჭრა—მოეკვეცა და გადაუგლია. ყველა
ის ხალხი, რომელნიც წესიერებასთან დადიოდნენ,
ცნობილ იყვნენ როგორც კარგი რ საიმედო კაცები.

ცოტა ხანში ისეთი ზედგავლენა და ძალა მო-
იპოვა სასტუმროში წესიერებამ, რომ ბოლოს ყვე-
ლა მისებურად იქცეოდა—ან უკვეთ ვსთქვათ იძუ-
ლებულ იყო ყოველივე მოეკვეცა, მოეჭრა ხოლმე
რაც კი ერთს ალაბს აღემატებოდა და წესიერება-
სავით ბაჯაჯღუნას უნდა დამსგავსებოდა.

სასტუმროში ყოველივე და ყველაფერი თექვ-
სმეტ ვერშოკს არ აღემატებოდა: სკამებიცა, მაგიდე-
ბიცა, სიყვარულიც, სიძულვილიც და თვით ღმერ-
თიც კი გაწესრიგებულ იყო.

სასტუმროში მალე ყველაფერი მიწყნარდა და
მიჩუმდა, ხოლო ბაჯაჯღუნებისათვის თითქოს სანე-
ტარო დრო, სამოთხეს ხანა დადგაო.

ათასი ერთხელ თუ ვინმე უკმაყოფილებას იკრძნობდა და უმადური შეიქნებოდა წესიერებისა (მაგალითად, როცა საკუთარ მოკვეცილ თავის სინანული აიტანდა) იმით ნუგეშობდა, რომ მართალია უთავო ვარ, მაგრამ სამაგიეროდ საზოგადო მყუდროება არ არის შერყეული და სამარისებური სიჩუმეა გარშემო გამეფებულიო.

ერთხელ ასე მოხდა, რომ იმ სასტუმროში ღამის გათევა მოუხდა, მგზავრად მიმავალ, თავისუფლებას, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მეტი-მეტად ანცი და მოუსვენარი ხასიათისაა, ხალვათობა უყვარს, მაგარი, აღფრთოვანებული სიტყვები და მეტად მოურიღებელი აზრები აქვს. ერთის სიტყვით თავისუფლებას მაშინათვე ეტყობა, რომ ის არა კეთილ საიმედო პირსაგანია.

შემოვიდა თავისუფლება სასტუმროში, მიიხედ-მოიხედა და ხარხარი დაიწყო—არა, მეტი აღარ შემიძლიან! მოკვედი სიცილისაგან! გაჰკივის და გაკისკისობს თავისუფლება.

— ახლავე, ამ წუთშივე სანათურები გააღეთ, თორემ სულ ერთიანად ამოწყდებათ, რადგან აქ ჰაერიც სამი ვერშოკის სამყოფიც არ მოუციათ თქვენთვისაო!

— ვინ, გამოგქრათ ყელები! აგრე ვინ დაგა-ბაჯაჯღუნათო? ეხლავ აქ მამგვარეთ ის ტვინ თხელი და მტკნარი სულელიო!

წესიერებამ კი ამ დროს დრო მოიმარჯვა და ტახტის ქვეშ კი ამოყო თავი. შეძვრა და ხმა გაკმენდილი ცახცახებს. კაცს სწორედ ცოცხალ-მკვდარი ეგონებოდა, როცა ტახტიდან ძლივს გამოათრის.

მოყაყთ წესიერება ბაჯაჯღუნებს და თან ფიქრობენ:

— ალბად ახალი დრო დადგა: წინედ ყველას წესიერებასთან მიათრევენ, ეხლა კი თვით წესიერებასაც ასამართლებენ.

მოქოჩრეს წესიერება თავისუფლებასთან რომელიც სიცილისაგან ძლივს თავს იმაგრებს.

— აი შე წესიერება—უკეთურობა, შენაო! ყველა შემოგიკრიქავს, შემოგიკვეცავს და თავის თავი კი დაგვიწყებიაო! მამ თუ აგრეა, ეხლავე გიჩვენებ სეირსა—შენც შემოგკრეკ-შემოგკვეცამო, შენებურად რომ ვსთქვათ მოგაწესრიგებო! მაგრამ შენისთანა ბაჯაჯღუნასთვის საზომიც ბაჯაჯღუნური უნდა იყოსო!

აუზომა ქვემოდან ნახევარი ვერშოკი თავისუფლებამ და რაც ზემოთ მეტი აღმოჩნდა მოსქრა და შორს გადისროლა.

და დარჩა სასტუმროში წესიერებისაგან მხოლოდ ქუსლები და სხვა აჭაფერი.

დაინახეს თუ არა სასტუმროს მდგმურებმა

ასეთი გასამართლება წესიერებისა, მოკრეს ყური თუ არა თავისუფლების წკრიალა სიცილს, გაიგონეს თუ არა მისი მდგარი და შეუზღვევი სიტყვები, მაშინათვე მიიღეს და მიითვალეს, რაც წესიერების დროს შემოქრილ-მოკვეცილი ჰქონდათ და ყველას აუტოკდა გულს ადამიანური, გაუცხოველდა ყველას სიყვარული მრთელი და სიძულვილი ძალ-მომრეობისადმი და თავისუფლებაში აღიარეს ღმერთი და იწამეს იგი.

? ? ? ? ? ? ? ? ?

შხამიანი ვინ არის?

(წერილი „ნიშაღურის“ რედაქციის მიმართ)

ბ. რ.! აცხადებთ შხამიანი კორესპოდენტები მინდაო. სამართლიანი სურვილია, ეგრეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმედი გაგიცრუვდებათ: რათა? მოგახსენებთ.

რუსეთში რევოლუციის დაწყებამდე ყველა ჩვენგანს, გაგინარიანთ, საკმაო შხამი და სამსალა ჰქონდა, ისეც ხმარობდა, როგორც შეეძლო. მაგრამ რა კი რუსეთის ჩვენებურ დიდებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეოხებით რევოლუცია გაჩაღდა (სხვებს ყველას ეძინა და სძინავს) და მის კომიტეტის ბძანებით ქართველმა და რუსმა გლეხობამ აგრარული მოძრაობა გაახურა,—მიწა და თავისუფლება მოითხოვა, მას შემდეგ იგივე პარტია, ათშაურთან გადასახადთან ერთად, მთელს შხამს თავისთვის ჰკრეფდა და გვწოვდა დაუნდობლად—მეტადრე ქართველობას. ერთის სიტყვით, შხამის ექსპროპრიაცია მოახდინეს.

ამ უამად ჩვენ—ვინც იმ „ერთად ერთ პარტიის“ წევრი არა ვართ, შხამი აღარ მოგვეძებნება, სულ

შესანიშნავი სურათები.



რწმენა, იმედი და სიყვარული
ლეგრანჯის ნახატი.

კ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ქუთაისის რამე-რუმე.

თეატრის ტელეფონი

— ტრ ტრ ტრ...

— ტრ ტრ ტრ ტრ ტრ...

— ვინ ბრძანდებით? ჰო! თქვენა ხართ? რა გნებაეთ? ხალხი?! ჰო ბევრია მაგრამ ვალბა ტროტუარზე დგანან—რაათა?! როგორ თუ რათა, თქვე დალოცვილო, რით ვერ გაიგეთ, რომ თეატრის წინ ქუჩა მორევით არის გადაქცეული, ხალხი ნავებს ელოდება, რა სთქვით? ნავები აღარ არის?! სხვა ქუჩებშია?!.. მარა რა ვქნათ, პორომი მაინც გააკეთებინეთ—ბილეთები... ჯერ კასაში მარტო 17 მანეთია. რა ბრძანეთ? ჰოოო! მოლოროსელები ხეალ მიდიან თეატრიდამ პირდაპირი პარახოდით ფოთში... ა! რა სთქვით?! ეე! რა დროს მასხარობა... ნახვამდის.

— ტრ ტრ ტრ.

— ტრ ტრტ.

◆ სამი დღეა რაც ზედი ზედ ფოცხვერაშვილის კონცერტი მიდის, ამბობენ დასასრული ამ თვის დაშლევს იქნებაო.

◆ ეკიმმა ნასარიძემ ქალაქის თეატრში წაიკითხა ლექცია ხოლერის შესახებ—**ფაქტუალური** ზოგადობას, რომ ხოლერა როსტოვიშვილის ხანში მძინვარებს და ერთი მტკაველი უკლია ჩვენადის მოსვლას, ამასთან ისიც სთქვა ორატორმა: თუ წელს არა, გაისათ მაინც იქნება ქუთაისში ხოლერაო, თუ გაისათ არა, გარდამეისათ მაინც და თუ გარდამეისათ არა, სამი, ოთხი, ხუთი, ოცი წლის შემდეგ მაინც გაჩნდებაო. ხალხი აღტაცებაში მოვიდა.

◆ წუხელის შუალამის 12 საათზე გაბაშვილის გორიდამ საშინელი ღრიალი მოგვესმა, ამ დილით გავიგეთ, თურმე ეს ის „ბარიტონი“ ყოფილა, რომელმაც აფიშებით გვამცნო „საზოგადოების თხოვნით კვირას კონცერტს ვმართავო“ (თუკა საზოგადოებას ფიქრადაც არ მოსვლია იმისი თხოვნა) წუხელის გვამცნო კონცერტი აღარ შესდგება, რადგან მთელ ქუთაისს უნდა თეატრში მოსვლა და სკამები ვეღარ ვიშოვეო.


◆ ესარის ხონიდამ ამბავი მოვიდა, რაკი ახლათ გახსნილი გიმნაზია უკვე აივსო მოწაფეებით და „ვაკანსია“ აღარ არის, ხონელები ამ გიმნაზიისათვის გაისათ თურმე უნივერსიტეტს აღებენ, რომელშიდაც ტარანის და კვერცხების გამრავლების ფაქულტეტიც იქნება დაარსებული.

ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა.



დასევან თავუნუი, მსუნჯგები ნადიმბენ, გამაძარნი სორაგეში იცინიან, ხედილბუნს!

შესანიშნავი ქანდაკებანი.



აპოლონი ზელვედერისა.

ჟორჟ მიშელის ქანდაკება. ძველის ორგინალიდან.

როგორც იქნა ქუთაისლებს გვეღირსა ქუჩების ელექტრონით განათება, ქალაქის გამგეობამ უკვე შეუკვეთა ლალიძეს ასი ფარანის დადგმა. ფარანები დაიდგმება ქალაქის თავიდან მოკიდებული ყოველ „გლასნის“ სახლის წინ, დანარჩენი ქუჩები კი ჟინჯილით იქნება განათებული.

ქუთაისელი „ჩართი.“

ბათუმის ავ-კარგი. აქაც ის ხდება რაც სხვანაირად და უფრო მეტიც. ჩვენი ახლად არჩეულნი „გლასნები“ ზოგიერთს საქმეში „სოლასნები“ არ არიან. რა იქნება შემდეგ არ ვიცით. ზოგიერთებს ეხლავე ეტყობათ „განქექის მადა“. ვინ ამბობს ხანდახან დიხაც კარგია „განქექა“, თუ მოსალოდნელია რამე „ასაყროლებელი“ საქმე, თორემ ისე ტყუილად ცხვირის ჩაყოფა ყოველგვარ სიბინძურეში... მარტო ერთგვარი ცხოველის საქმეა!

— თუ მართლა ეს ვაჟბატონები ეგეთი გულშემატკივარნი არიან ქალაქისა ხოლოდინში მაინც ზოგიერთს ადვილებს მიხედონ; წუმპე, სიმყარე და სიბინძურე ხომ ჩვეულებრივია ბათუმში. თუ სანიტარები არ ყავთ—ლორები მაინც გაიჩინონ. მერე ლორების შოვნაც ადვილია, რადგან ოთხფეხას გარდა ორფეხა ლორებიც ბევრია და განსაკუთრებით გოჭები და ბურვაკები.


— ჩვენი წყლის საყვანი უკვე ალოგ-ალოგ მოქმედებს. ბარაქალა ქალაქის გამგეთ, მაგრამ წყლის საყვანი უკანალიზაციოთ, ერთი ლორებიც არ იყოს, **КАКЪ БЕЗЪ ХВОСТА СКОТИНА!** შეტად საჭიროა კანალიზაციის დაშურება, თორემ ბათუმი დღითი-დღე უფრო ქუჩუიანდება და მავნე ინფუზორიებით და ბაცილებით ივლინდება.

სოფ. სხვადა. (რაჭა) მოგვხსენებთ აზნაურებს თავი მოაქეთ იმით, რომ წინაპრები ძველ დროში რაინდები იყვნენ და სისხლს აქცევდენ სამშობლოათვის მტერთან ბრძოლაშიო. მართალიც არის, მაგრამ ეხლანდელ დროში?! ამას წინეთ ერთ აქაურ აზნაურს უფიქნრია: კაცო, ჩემი წინაპრები, თუ იბრძოდენ,—მოდი, მეც გამოვცდი ჩემ თავსო. ამდგარა ეს ამ დროის რაინდი და იქვე წისქვილში შეხტომია მეზობლის ცოლს. აზნაური და ქალი შეიბნენ, შაშვი კაკაბივით. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ძლეულ იქნა რაინდი, თუმცა ქალიც თავგატეხილი აღმოჩნდა.

ტფილისის „პროგრესიული“ პრესა.



ეს, დამართა, შექმენ მდიდარი, მაგრამ რა ცოდვა მეწია: ვგდივარ და ვგდივარ ტვლახში, ვერ გავიწმინდე ბეწვია!



ონი. (რაქა) გამოჩნდა ერთი ტყის მცველი ჯაშუში, რომლის დაბეზღების წყალობით ციხეში თავი უკრეს ორ ძმას ჩეჭმების მკერვალს და ერთ თერძს. თქვენს მტერს მოუვიდეს ის, რაც ჩვენ საქმე დაგვემართოს, თუ მთავრობამ კიდევ ჯაშუშ ტყის მცველს დაუჯერა. მალე ონში ვეღარც „საპოუნისკ“ და ვეღარც თერძს ვეღარ ვნახავთ, და ვერჩებით ონელები ფეხშიშველა და უჩოხო.

იქიდანვე. გამოჩნდა ერთი შესანიშნავი ექიმი, რომელიც ქართველს უცრის რუსის სისხლს, ორი წამის შემდეგ აცრილი ქართველი რუსათ გახდება, როგორც აგებულობით ისე ზნე ჩვეულებით. როგორც შევიტყვეთ ამ შესანიშნავ ექიმს, თურმე, ბევრი წერილი მოსდის ამ შინაარსის: „არიქა, შენი ჭირიმე, ამიცერი რუსის სისხლი, მინდა რუსათ გავხდე, რადგან მრცხვენია ქართველათ რომ დავიბადეო“.

შუადული.

სოხუმი აქაური „ქეშმარიტ რუსთა“ მიკროსკოპიული წრე ამ ბოლო დროს როგორღაც შეთხელდა, შებერტყდა, ან იქნება ეს ტაქტიკური ხრიკები იყოს—დროებით თავის მომკვდარუნება?... ასეა თუ ისე, ჯერ კი ასეა.

— მოველოდით ქალაქის თავს მოუთმენლად, რადგან უთაობა ძრიელ გვეტყობოდა. ესეც არ იყოს მეტად გვეწყურთან ნამდვილად შევიტყოთ, თუ რა გაარიგა ჩვენმა თავმა პეტრეს ქალაქში. სასიამოვნო ამბებს კი იწერებოდა—ხომ მოგვხსენებათ ანდაზა „იმედინი შიშილიც კარგიაო“, ხოლო ჩვენი ქალაქი დიახაც დამშეულია სხვადასხვა აუცილებელ საჭიროებით: წყალი, ქუჩები, სკოლა, გრძობა-გონების საზრდო, განათება და სხვა ამისთანები.

— ამ დღეებში დაიწყება თედო სახოკიას და სხვათა საქმე „გულის ფანცხალით“ ველით გარჩევის დღეს. გვენატრება ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნახვა, მისი მჭევრმეტყველობის მოსმენა. ჩამოვლენ გიორგი გვაზავა, გრუზენბერგი, ოსიკო ბარათაშვილი... ყველა ცნობილნი ვექილნი. აგება ჩვენს თედოს ეშველოს რამე, თორემ თქვენი მტერი—თუ კიდევ დიდხანს დარჩა ციხეში—ვეღარ გაძღვებს: დაქლერქდება წაღვლისა და ბოღმისაგან.

— მეტად გულგრილად მოეკიდა ზოგიერთი თედოს მდგომარეობას. კაცი, რომელიც არასფერს არ ზოგავდა საზოგადოებისათვის და მუდამ საზოგადო საქმის ზრუნვაში იყო, ოციოდე თუმანს ვერ შოულობს, რომ ვექილებს გზის ფული მაინც მისცეს. სადაც სამართალია, ვექილების გასამჯელო საზოგადოებას მაინც უნდა ეკისრნა. რა დიდი საქმე იქმნებოდა ქართულ ბანკებისა და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან ხუთხუთი თუმნის გა-

ლება იმ ადამიანის დასახსნელად, რომელმაც ათა ერთი გზით დაამტკიცა თავისი **ფაქტურა** ტყუილად კი არა სთქვა აგრე **ვერჯელო** ლმა დიდებულმა პოეტმა: „ბედში მყოფი ძმად რომ მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!..“

ლანჩხუთის ამბები. იმ დღეს ქალაქში თვით მართველობის არჩევნები მოხდა; ყველა მოხელეებმა თავთავიანთვის აირჩიეს თითო ქალაქის თავი და თითო თანაშემწე.

— ლანჩხუთის ქალები სეირნობას მართავენ „ნინიაზედ“ და შემოსულის ფულით ინტერნაციონალურ შკოლას აარსებენ „თებისტორის“ პირზედ, რადგან იქ რკინის გზაზედ ბევრი სხვა და სხვა ერის მუშები მუშაობენ.

სეირნობა იწყება 14 სექტემბერს ღამის პირველ საათზედ, თუ თვარიანი ღამე იქნა, რადგან ლანჩხუთის განათლებულ ქალებს სიბნელეში სიარული ეკრძაღვით.

— იმ დღეს დააპატიმრეს და „ეტაპით“ გაგზავნეს ოზურგეთში ოთხმოცი წლის ცოლ-ქმარი, რომელთაც, თურმე, აბრალებენ ბომბისა და იარაღის ტარებას.

6. შეგნებული.

პროლეტართა „გასართობი“

„მოლაკანსკის“ ოცდაცხრაში პროლეტართა ჰქონდათ სხდომა: ცდილობდნენ გადაეწყვიტათ „კარტი“ სჯობს თუ ნარღზე ჯდომა. თავსმჯდომარეთ დასვეს ლუკა; ხოლო მდივნად ფარსადანი, „დირექტივებს“ ხალხისაგან აძღვეს ჩვენი სილოვანი. ალბათ იცით მოთამაშეთ გააჩნიათ თვისს პარტია: თუ რამ ჯიბეში უქყავათ—მწარე ოფლის გარანტია. გაჰკივიან—ეხლა „დუშაშ“ ეხლა „დავი“, „დავუფასე“... სადამოდან რიჟრაჟამდე ერთობიან მუდამ ასე! თვიდან თვემდე, წლით წლობამდე ხელში ნარღი და „კარტია“ ამ გვარ „ბრძოლით“, „დიდის მსხვერპლით“ შეჰქენს „მუშათა“ პარტია!...



დრამატული ესლოჟენება.

მქიმთან.

ვადევილი ერთ მკჷმედებათ.

ივ. გომართელითა.

მკჷმედენი:

- ახალგაზრდა ექიმი.
- იასონი—მსახური.
- ჩოხიანი.
- შუახნის ქალი.
- ებრაელი.
- ვაჭარი.
- ახალგაზრდა ქალი.
- ბლენი.
- პოლკოვნიკი.
- ყმაწვილი კაცი.
- კნენი.
- მოხუცი ქალი.
- ჩიხტიანი ქალი.
- ქალები, კაცები.

ავადმყოფები.

ოთახი წარმოადგენს ექიმის კაბინეტს. ერთ მხარეზე მაგიდა დგას; ზედ აწყვია შუშები, ექიმის სტეროსკოპი და რკინის ტარიანი ჩაქუჩი საექიმო. მეორე მხარეზე ავადმყოფის გასასინჯი ლოგინია. იქვე პატარა შკაფი წიბნებით, ხელის დასაბანი. მაბიდის ახლოს სამი სკამია ავადმყოფებისათვის. ერთი კარი ავადმყოფების მოსაცდელ ოთახში გადის, მეორე ექიმის სადგომში. ავადმყოფებისაკენ მიმავალი კარი ცოტა გაღებულია და იქიდან ისმის იასონის ხმა.

იასონი. რაც დოხტურისგანა მაქ ნაბძანები, ის უნდა შევასრულო. მე ყველას რიგ რიგათა ვწერ და, როცა თქვენი რიგი იქნება, მაშინ გაისინჯებით (იასონი კაბინეტში შემოდის და უკან შემოყვება ჩოხიანი. იასონს ხელში რკეული უჭირავს).

ჩოხიანი. შე მამა ცხონებულო! რა იქნება, რომ თავში ჩამწერო? იმდენი ხალხია და დოხტური რას გაიგებს, ვინ აღრეა მოსული და ვინ გვიან?

იასონი. გითხარი, ჩემო ძმაო, რომ არ შემოძლია. რომ გამიგოს, დამითხოვს და სირცხვილი რაზე ვქამო?

ჩოხიანი. იმე, რავე ლაპარაკობ შენც ერთი! რა იცის, ერთი მითხარი, დოხტურმა, ვინ რა დროს მოდის აქ?

იასონი. სხვები ეტყვიან და ერთ ხლაფორთხს ამიტენენ. აკი გითხარი, არ შემოძლია მეთქი, აწი დოხტური მოვა, გადი, თუ ღმერთი გჭყამს.

ჩოხიანი. (ცოტა ფიქრის შემდეგ) ჩაიფოტეს, ათ შაურაანს ამოიღებს და აასრნს აქდეუს) ავა და თავში ჩამწერე, თუ კაცი ხარ!

იასონი. (ფუფს დახედავს) რას ლაპარაკობ, კაცო? ათი შაურის გულისთვინ თავი შევირცხვინო ამხელა კაცმა? გადი მეთქი, აწი დოხტური შამოვა.

ჩოხიანი. (მანათს ამოიღებს) ავა და ჩამწერე, თუ ღმერთი გჭამს. ვინ გეიგებს, შენც ერთი.

იასონი. (ფუფს აწმეყვს) აღარ მოეშვებით ადამიანს და რა გამოვიდა! (რკეულში ნიშნავს ფანქარათ) ხუთი კაცის მერე ჩაგნიშნე. თუ ვინმე გკითხოს, ასე უთხარი, აღრე მოვედი და მაშინ ჩაგანიშნე თავი თქო. (ჩოხიანი გავა, იასონი ჯობიდან ვერცხდის ფუფს ამოიღებს და თფდის) დღეისთვინ კმარა. ჩემ აღას კაი დახოდი აქ, მარა მეც გვარიანი მაქ. (შემოდის ექიმი. იასონი ფუფს ჯობეში ჩაიწეობს და გასწორდება).

ექიმი. (მაგადისაკენ მიდის) აბა, რიგ-რიგათ დაუძახე ავადმყოფებს. (იასონი გავა, რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოდის ერთი შუახნის ქალი და რიგ-რიგათ შემოყვება ორი ქალი და სხვა კაცი) ყველა ავათა ხართ?

ერთი ქალი. (შირკეულზე მიუთითებს) არა, შენი სულის ჭირიმე, ავათ მარტო ეს ერთია და ჩვენ ყველა მაგისი მხლებლები გახლავართ.

ექიმი. შე დალოცვილო, ამდენი მხლებელი იქნება! (ავადმყოფს) დაბრძანდით სკამზე. (ავადმყოფი ჯდება, სხვები შორი-ახლო დგანან).

ერთი კაცი. ასეა, ბატონო, ჩვენი ჩვეულება, ყრუ ხალხის ამბავი ხომ მოგესხენებათ.

ექიმი. (ავადმყოფთან მავა) აბა მომიყვებით, რა გაწუხებსთ.

ავადმყოფი. (გუფის კაფთან იდებს ხელს) აქანა მამაფრინდება ხოლმე, ბატონო და მიქაჩავენს, მიქაჩავენს, მიქაჩავენს ისე, რომ მგონია, გულს ბაწრებით მწვევენ მეთქი.

ერთი ქალი. მაგას რცხვენია, მე უკეთ მოგახსენებ, შენი ჭირიმე. დედათა წესს რომ იტყვიან, ისა აქვს დაკარგული.

ექიმი. (გაწვეულებებს) ამისი ავადმყოფობა თქვენ სიდან გეცოდინებათ ამათხე უკეთ? (ავადმყოფს) თქვენ განაგრძეთ.

ავადმყოფი. აქედან მეტაკება წენში და ისე დამიწყებს წიწქანას, თითქოს ჩანგლებით გლეჯამენ ხორცსო. იქ რომ მიტემს, გეექანება ბეჭებში და ისე მტებს, ისე თითქოს ძვლებს ამტვრევს რაღაცაო. მერე იქიდან წამოვა, შენი ჭირიმე და საქორეში მეტაკება; ასე მგონია, თითქოს ეს არის თა-

„ნიშადურის“ ზედგავლენა.

(1 ნაწილი).

(2 ნაწილი).

ეროვნული
ნიშადური



— მაში! ეგრე გემრეულად რამ ჩაგხათხოთა?!
— დადოცის დმერთმა, „ნიშადური“ მწარეთ
დასცინის იმ სძაგლებს!

— მაში! ეგრე ცხარეთ რამ შეგაკუნტრუსე?!
— დასწუველს დმერთმა, „ნიშადური“ ბოლოში მეც
მომხვდა.

ვი უნდა ამხადოსო. იქიდან ვასწევს და უკაცრაუ-
ლი პასუხია შენს ბატონობასთან, პატარა მუცელ-
ში მოიყრის თავს და დამიწყებს ჩხვლეტას, თით-
ქოს სადგისებს უყრიან შიგო. უნდა მოვიკუნტო
და ვკივი, ვკივი, ვკივი როო ჩემს უცოდვესი ზე-
ზეულათ ძალი არ არის (მატარა ხანს სიჩუმეა; შემ-
დეგ შამოგხვევიან მსლებლება და უფველი მათგანი რა-
ცხას ჩახუნჯებს).

ერთი ქალი. (ავათმეოფს) საშვილევ რომ გა-
წუხებს კიდევ? თუ კი არ ეტყვი, ავა დობტორმა
რა გეიგოს ისე? (ექიმს) ამას, ბატონო, საშვილევ
აწუხებს კიდევ. ჩამოსიებული უნდა ჰქონდეს (ექიმი
მაჯას უსინჯავს ავათმეოფს).

მეორე ქალი. (ავათმეოფს) თავიდან რავა შე-
გიდგა შენი ავათმეოფობა, რომ არ ვითქვამს, შე
ქალო! (ექიმს) თავიდან ბატონო, ტაბასტას რომ
ეტყვიან, ისე დაემართა და მთელი ერთი თვე დე-
ნა ჰქონდა.

ერთი კაცი. ვითამ ბატონო ქარ-ქია-ბუასილს
ვეწამებით ჩვენის ანგარიშით. სწორეთ იმისი ნი-
შნები აქვს, თქვენც შეატყობდით.

მეორე კაცი. ზოგმა გვითხრა, აყოლილიაო,
ხომ მოგეხსენებათ სოფლის ქორები. ვასვით ბევრი
აყოლილის წამალი, მარა არაფერს წაადგა.

ერთი ქალი. რავა არ წაადგა, შე კაცო! ი
დენა იმან შეუწყვიტა, თორემ აქამდინ ცოცხალი
აღარ იქნებოდა.

მეორე კაცი. ვითამ ჰო, პატარა რომ არ მო-
ხდენოდეს, არ იქნება.

მესამე კაცი. (ავათმეოფს) ჭიბის სწორა რომ
გინვარხვლობს ხოლომე, ის დაგავიწყდა? (ექიმს) ჩე-
მის ანგარიშით, ბატონო, ჭიბიც უნდა ჰქონდეს
ამას ჩავარდნილი. ბარე სამჯერ მოგუწიეთ ჭიბი,
მაგის ოსტატი კაი გვყამს და არ არის, რომ ისიც
არ მოხდენოდეს.

ექიმი. (ავათმეოფს თვალში ჩახედავს) ავა ტანი-
სამოსი გაიხსენი და გავსინჯავთ. (ქალები ესმარები-
ან, ზედა ტანისამოსს სდიან. ექიმი სინჯავს წინადას,
შემდეგ ზურგადას, მუცელს სედათ უსინჯავს) ჩაიცი-
ვით ეხლა. (ქალები აცმევენ. ექიმი მაგადასთან მივა,
დაჯდება და რეცეპტსა სწერს. შემდეგ ისევ ავათმეოფ-
თან მივა რეცეპტთან) შიგნით შენობაში წამხდარი
არაფერი გაქვს. თავს ნუ გაიცივებ, ჯაფას ერიდე...

ერთი ქალი (გაწვევტინებს) ჯაფა კი არა, შე
დალოცვილო, ლოგინიდან არ გადმოსულა ეს ორს
თვეა.

ექიმი. საჭმელი რიგინი ქამე: ქათამი, კვერ-
ცი, ყველი, რძე, ცოტა ღვინო, და თანდათან
მოიკეთებ. წამალი ერთი დასალევი გექნება, ერ-
თიც გადასაყლაპავი, ზედ ეწერება, თუ როგორ
უნდა იხმაროთ. (ერთი კაცი ქისას იღებს უბიდან და
სხნის, ათმუხრანს ამოიღებს და მაგადაზე დადებს).

ერთი ქალი. (გუდას კოფხზე სედას დაიდებს)
ბატონო, ამ ალაგას რალაცა ძვერს და ხომ არ შეი-
ძლება, რომ მეც გამსინჯოთ!

ექიმი. (სელს დაადებს) ეგ დიდი ძარღვია და ისა ძგერს. ეგ ყველასა აქვს.

ქალი. რატომ აქამდინ არ ძგერდა მერე, ბატონო?

ექიმი. როგორ არა ძგერდა, მაგრამ ვერ ამჩნევდით.

მეორე ქალი ბატონო, ქამის მადის მოსაყვანი ხომ არაფერი იქნება?

ექიმი. რათ გინდათ? თქვენ არა გაქვთ მადა?

მეორე ქალი. მე კი არა მეზობელმა დამაბარა, მადის კაპლები თხოვე დობტურსაო.

ექიმი. უნახავათ წამლის გამოწერა საფრთხილოა, შეიძლება აწყინოს.

ერთი კაცი. მეც ქე მქონდა პატარა გასაშინჯი; მარა სხვა დროს იყოს (ავათმეოფეს აყენებენ, ექიმს თავს უკრავენ და გადიან. შემოდის ებრაელი, სელს აწამეკეს).

ექიმი. თქვენ რა გნებავს?

ებრაელი. ხომ კარგათ ბრძანდებით ოჯახში?

ექიმი. გმადლობთ კარგათ (სკამზე მოუთათეს) დაბრძანდით. (თვათან მავიდასთან ჯდება).

ებრაელი. (ჯდება) ღმერთმა დაბრძანება ნუ მოგიშალოსთ. სიდდერი და სიმამრი ხომა გყავთ?

ექიმი. ცოლი არა მყავს და სიდდერი და სიმამრი საიდგან მეყოლება?

ებრაელი. შენი ჭირიმე! არაო, ცოლიანი ბრძანდებო! ჯერ ახალგაზრდა კაცი ყოფილხარ, ღმერთი ბევრს მოგცემს. მამა თქვენი აქა ბრძანდება?

ექიმი. მამაჩემი რამდენი ხანია, გარდაიცვალა! (სტენისაკენ) ღმერთო, ამას რას გადავეყიდე!

ებრაელი. (ვითამ გატყუებული) შენი ჭირიმე! აი რა კაცი იყო, ის ცხონებული, სამეფო კაცი, სამეფო სწორეთა!


ექიმი. (სტენისაკენ) ღმერთი, რჯული არც უნახავს. (ებრაელს) მე ამდენი დრო არა მაქვს და თქვენს ავათმეოფობას მომიყევით.

ებრაელი. მე, შენი ჭირიმე, ბევრ თავს არ შეგაწყენთ. აი ჭიბთან მიმიძიდება ხოლმე (ჭიბთან სელს იდებს), თუ ძალიან გავძეხი. თუ არა ვქამ ისიც მაწუხებს, შენი ჭირიმე, და თუ გავძეხი, ისიც

ბეჭვდისა და სიტყვის თავისუფლება



რედაქტორებისათვის ძეწვეზე ჩამოსკიდა ნიშნა (ბრეჯაკა).



მის. მენშიკოვი.

აბა ვინა სწოთ მამულისათვის ერთგულნი შვილნი, დღეს გამაჩნდება, შევქ მათ სარდა და სისხლი შევსჯათ, რეკალიუცა მათ გათავდება!

ცა მწყენს. ვატყობ, რომ კუჭი უნდა მტკიოდეს. ისე სხვაგან, შენი ჭირიმე, კენჭივითა ვარ, ვმადლობ უფალსა.

ექიმი. (გაუსხნის და მუტელს უსინჯავს) ამ ალავას ატყობთ რასმე?

ებრაელი. ოო, სწორეთ. მაგ ალავასა, მაგ ალავასა, შენი ჭირიმე.

ექიმი. გულის რევა ან ყვედრება ხომ არ იცით ხოლმე საქმლის შემდეგ?

ებრაელი. არა, შენი ჭირიმე. მარტო მიმიძიდება ხოლმე.

ექიმი. (გამოტრიალდება, რეკეტს სწერს, ებრაელი გატანისამოს ისწარებს; რეკეტს გადასტყოს) ეს წამლები იხმარეთ და შეავსეთ, მლაშეს და მსუქანს ერიდეთ, სხვა ყველაფერი შეგიძლიათ.

ებრაელი. (რეკეტს აწამეკს და ჭიბუში იდებს) რძე ვსვა, ბატონო, რძეი?

ექიმი. რამდენიც გინდათ.

ებრაელი. ვთქვათ, მაწონი ან თოლხო კვერცხიც მარგებს, არა?

ექიმი. ეგ ყველაფერი შეგიძლიათ, რომ სკამოთ.

ებრაელი. ქათმის ხორცი, შენი ჭირიმე, შემწვარი გიხლოთ ხოლმე თუ მოხარული?

ექიმი. როგორც გინდათ. არც შემწვარი გაწყენთ, არც მოხარული.

ებრაელი. ხილი ვქამო, შენი ჭირიმე, ხილი? **ექიმი.** წამლის დროს ხილს ნუ იხმარო.

ებრაელი. არც ნესვი ვქამო, შენი ჭირიმე?

ექიმი. ნესვი განა ხილი არ არის?

ებრაელი. ვთქვათ, ცოტა ატამი რომ გაიხლოთ ღვინით, არ უნდა მაწყინოს.

ექიმი. ცოტას არა უშავს რა. (სტენისაკენ) ნეტავი თავიდან მომშორდებოდე და თუნდა სულაც გამსკლარხარ.

ებრაელი. ვთქვათ ღვინო, ბატონო, წითელი გაიხლოთ, თუ თეთრი?

ექიმი. ცოტა არც ერთი არ გაწყენსთ, ბევრი კი არ შეიძლება.

ებრაელი. ორი-სამი სტაქანი რომ დავლიო იჯრახე, ჩემი რჯულის მაღლმა მეტს არა ვსვამ. (კარი ცოტა გაიღება და იქიდან ერთი ავთმყოფო იძისის: „შე დადგვიდო, ერთ ურას რომ ამდენ ხანს სინჯავთ, ჩვენ განა სჯახს ადარა ვართ, რომ ამდენს გვაცდევინებთ?“ კარი მიიხურება).

ექიმი. (კარებისკენ) თუ მოითმენთ, ყველას განახავთ.

ებრაელი. ჩემი რჯულის მაღლმა, აქ ცოტა უზრდელი ხალხია, ბატონო, მარა გული არ გაგიტყდეს, (ხელს ათმუგვს) დღეს ჩვენი შათათია, ჩვენი რჯულით ფული არ გაიცემა და მეორეთ რომ მოვალ, ჩემი რჯულის მაღლმა, მაშინ მოგართმევთ ერთათ.

ექიმი. არაფერია. (ურას მიდის სტენისაკენ) ვაი თუ მეორეთაც შათათს მოხვიდე. (ეზრახე გავა, შემოვა მსხვილი, დაზიანი ვაჭარი და თავს უკრავს).

ვაჭარი. (ბახის სმით). მე დიდი ავთმყოფობა არაფერი მაქვს, დობტურო. ღამე ძილში ხრიალი ვიცი ხოლმე და ჩემმა ცოლმა აღარ დამაყენა, ნახე და ნახე დობტურიო. მეც მოვედი. თუ რით რამე ამისი წამალი. გამომიწერე, თუ არა და თქვენ კარგათ იყავით.

ექიმი. დაბრძანდით. (ვაჭარი წაიქვამს) თქვენი ხრიალი თქვენი სისუქნის ბრალია. უნდა იმოძრაოთ, რომ ცოტა გახთეთ,

ვაჭარი. ვა, სულა ემოძრაოვო, მუშტარს ყურის გდება უნდა, მაგრამ უფრო გავსუქდი.

ექიმი. იქნება ღვინოსა სვამთ ბევრს?

ვაჭარი. წინეთა, მართალია, ბევრსა ვსვამდი, დღეში შემხვდებოდა ოცდაოთხი ბოთლიც დამიღვინია! (ამდროს კარი გაიღება და ეზრახე შემოტრიალდება)

ებრაელი. ერთი სიტყვა დამავიწყდა, უფალო დობტურიო! ვთქვათ, კიბი ხომ არ მექნება ჩავარდნილი? ქალები ჩამციებიან, კიბი გექნება ჩავარდნილი და ამოაწვივიო.

ექიმი. კიბი სრულებით თავის ალაგასა გაქვსთ. (ეზრახე თავს უკრავს და გადის).

ვაჭარი. (განაგრძობს) ახლა დღეში ხუთი-ექვსი ბოთლი რომ დავლიო, მეტს აღარა ვსვამ.

ექიმი. ხუთი-ექვსი ბოთლი დღეში როგორ შეიძლება? აბა ყოველ დღე იანგარიშეთ, მარტო ერთ თვეში რამდენი შედგეს!

ვაჭარი. ვაა, შე დალოცვილო, შიგ ხომ არა ჩერდება? როგორც ჩადის, ისე გადის! (მუცელზე ხელს ატყავს) ათასი თუმნის ღვინოს მაინც გაუვლია აქა!

ექიმი. ხრიალზე წამალი არაფერს გარგებთ. ძილის დროს თავს ძალიან დაბლა ნუ დადებთ ხოლმე.

ვაჭარი. (ადგება ჯიბეში ხელს აფიფს) თქვენ კარგათ იყავით, მართალი სიტყვა ჯობია. თქვენი ტაქსა რა არის? (ზარტმანს იღებს ჯიბიდან და ხსნის).

ექიმი. რაც ვინდათ. (ვაჭარი ფულს მავადანს დადებს და გადის. შემოდის ახალგაზრდა ქალი ქუდში, ხელს ათმუგვს ექიმს და დაჯდება).

ქალი. მე უფალო ექიმო, გულის ძვერა მაქვს ავარდნილი. ხანდი ხან ისე ამივარდება, რომ თუ არ დავჯექი, გავლა არ შემიძლია. მეშინია, პაროკი არა მქონდეს: საწყალი დედაჩემიც პაროკით გარდაიცვალა.

ექიმი. აბა გაიხსენით და ვნახოთ. (ქალი იხსნის გულს, ექიმმა სინჯავს. ამდროს გარეთ ხმაურება შეიქნება, კარი გაიღება, შემოვა ისევ ეზრახე და უკან იასონია. ქალი გულზე ტანისამოსს იფარებს და გაშტურებულა. ექიმაც გაცხებულა).

იასონი. ბატონო, არ ვუშვებდი და ძალათი შემოვარდა. თქვენი ხათრი მქონდა კიდე, თუ არა კანის გავუსვამდი ყურის ძირში მაგ ღორის შეილს: იმდენ ხალხში მამა შემავინა!

ებრაელი. ჩემი რჯულის მაღლმა, სტყუის ბატონო, ურცხვათ სტყუის.


ექიმი. კარგი, კარგი. (იასონს თავით ანიშნებს გარეთ გასვლას. ისიც მიდის) ხომ ხედავთ, რომ ქალია აქ? აგრე შემოვარდნა უკითხავათ როგორ შეიძლება?

ებრაელი. ერთი რომ დამავიწყდა, შენი სულის ჭირიმე და იმიტომ შეგაწუხეთ. დობტურმა რა ქნას, შენი ჭირიმე, თუ იმის სიტყვას არ ავასრულებთ? ის უნდა მეკითხა, შენ პირს ია და ვარდი, რომ ბულიონი თუ მექმება, შენი ჭირიმე, ქათმის ბულიონი?

ექიმი. ბულიონი არც ქათმის გაწყენს, არც ძროხის.

ებრაელი. ოო, შენს სულს ვენაცვალე. (თავს უკრავს და მიდის. შედგება) შენი პირიდან შეპარი ამოდის, შენი ჭირიმე, მარა ეს თქვენი ბიჭი ნამეტანი მამაძალია. თუ მიბრძანებთ, იმისთანა ბიჭს მოვიყვანო, როგორც თქვენ გეკადრებათ.

ექიმი. გმადლობთ, ჯერ არ მჭირდება. (ეზრახე ხელს კარებამდე გაეყვება).



ებრაელი. (კარებთან შედგება) სახლს ხომ არ იყი-
დით, შენი კირიმე?

ექიმი. არა.

ებრაელი. ჩემი რჯულის მადლმა, სულ იაფათ
ისეთ სახლს გამოგატანიებ ბანკიდანა, რომ ამბობდე:
კიარ მიყიღია, მარდახა შამლიკაშვილმა მაჩუქათქო.

ექიმი. ნუ სწუხდებით, მე სახლი არ მინდა.

ებრაელი. (დამიღიან) აქედან რომ წავედი,
ბარე სამი ისრაელი გამოგიგზავნე, ჩემი რჯულის
მადლმა. კიდევ ბევრს გამოგიგზავნი. (გადის)

ექიმი. (სტენისაკენ) სამი ებრაელი თუ კიდევ
აქ მოვიდა ახლა, თუ დავიმალე, თორემ აღარ
შემიძლია. (განაგძობს ქაღის სინჯვას რამდენიმე
სანს) შეგიძლიათ, ჩაიცვათ. (მაგადსთან დაჯდება და
რეცეპტს სწევს. ქაღი იფვამს).

ქალი. პაროკი ხომ არა მაქვს?

ექიმი. არავითარი „პაროკი“ თქვენ არა გაქვთ.

ქალი. არა, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დამიმა-
ლავთ. მეშინია, ვაი თუ ერთბაშით მოვკვდები.

ექიმი. არ დაგიმალავთ. სისხლ ნაკლული
ხართ და თქვენი გულის ძვგრის მიზეზიც სწორეთ
ეს არის. (ადგება და რეცეპტს აწვდის) აი ეს წამალი
იხმარეთ და სრულებით კარგათ გახდებით. (ქაღი
რეცეპტს აწმეკვს, ფუფს ტოვებს, ხელს აწმეკვს და
გადის. შემადის შუახნის ქაღი შავებში ქაღაღით სელ-
ში და აწვდის ქაღაღს ექიმს. ექიმი აწმეკვს) თქვენ
რა გნებავთ?

(შემდეგი იქნება).

ა ლ ა ხ მ ა ტ ა რ უ წ ე ნ ს !

— თქვენი სახელი, გვარი და წოდება? მკაც-
ად შეეკითხა ბრალმდებელი რედაქტორ-გამომ-
ცემელს.

— პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა, ახნაური!
გაკვირვებით მიუგო რედაქტორმა.

— მთავრობის საწინააღმდეგო წერილი თქვენს
გაზეთში დაბეჭდილი სასტიკ სასჯელს გიქადისთ!—

— რომელ გაზეთში? მოწიწებით ეკითხება
რედაქტორი.

— ეგ თქვენ უკეთ უნდა იციდეთ! მრისხანებს
ბრალმდებელი.

— მე კი არა, ალახმაც არ უწყის! რაც მე გაზე-
თები ჩამიკეტეს ამ ორ წელიწადში, იმდენი თმაც
არა მაქვს თავზე და საიდან დამახსოვნდება ან
გაზეთის სახელი ან წერილის შინაარსი!

ფ რ თ ხ ი ლ ა დ !

ფირუზ. გაიგე, დარჩო, ჩვენმა კნიაზებმა ილია
ქაქუცავაძეს უპრავის წინ ძველი უნდა დაუდგან.

დარჩო. ჰაა..... ფრთხილად! იცი ის რა კაცი
იყო? იმისმა ქვებმაც ყვირილი იცოდენ!..

არ დაიბეჭდება: 1) „სიზმარი“—მეტად გთხოვს და

თან საკმაოდ ყბად აღებული ჩვენს პრესაში
2) „ხოლვერა“—მეტად ბევრს ავლებს მუსრს და ვაი თუ
ალარავინ დარჩეს საქართველოს ტერიტორიაზე.. სხვა არა
იყოს—რა, „ნიშაღურს“ მკითხველები აღარ ეყოლება და
მაშინ ვინღა წაიკითხავს თქვენს ლექსებს!..

3) „ამხანაგთა საყურდლებოდ“—გეთანხმებით რომ
„რალდ ბენდა ლაპარაკი, თვითონ ვხედავთ ჩვენსა ყამს:
„ეს მთავრობა მუდამ დღე ძვალსა გვზრამს და რბილსა
| გვკანს...“

„ბოლოს დანა თუ გიპოვნეს მაშინაც დაბიჭვრენ,
„ღუ გიპოვნეს ყუმბარა, დაჭერა ხომ არ კარა!..“
ჰო და ასე, დიხაც ცუდი ღრო დაგვიდგა, მაგრამ ეს იმას არ
ნიშნავს რომ ცუდს ლექსებსაც გასავალი ჰქონდეს. რაც შეეხე-
| ბა იმას, რომ

„ტაჩკაშიაც კი ბეზამს, თითქოს ვიყოთ ცხენები,
„ხაზინსა მ.ი.ნ.ც გვანდეს თხას მიუგავს წვერები...
„მდიდრები და პოლიცია ზუდამ დღე და მუდამ ყამს
„უსირცხვილთ ხელსა ჰყოფს ჩვენ წინ მდებარე ჯამში“.
უნდა მოვასწინოთ თქვენ თვითან ჰეშმარიტ ბზას დადგომი-
ხართ მათის საწინააღმდეგოდ
„მტერზედ გამოვიჩინოთ, რაც რომ კი გვაქვს ღინი-
| ძალი“

საუცხოვედ გინებიათ—გამოჩენა... მაგრამ ლექსებს კი ნუ გა-
მოაჩენთ—სირცხვილია.

4) „დიდებულ გვამს“—კერძო და პირადი ხასიათი
აქვს, ხოლო ლექსებს არავითარი ხასიათი არა აქვს. აბა
გადაავლეთ თქვენი ბედნიერი თვალი:

„ანარქია მოახდინე, შენდა იყო ადვილი
„ხიძეს, ძმას და ძმის ცოლის ძმას შენ მიეცი ძველ-
ლების ადგილი!

დიხაც უსამართლოთ მოქცეულა, მაგრამ თქვენ
თვითონ ამართლებთ როცა სწერთ, რომ:

„მართალია ამ დროში საქმე არის შოვნაზე,
„ჯერ ღურგლები დაითხოვე და მიიღე შონვაძე...
გარწმუნებთ. თუ თქვენ თავს დაანებებთ ლექსებს, შონვა-
ძეც და სხვებიც მისთანებიც თქვენც თავს დაგანებებენ.

5) „ბოლშევიკს“. თქვენი წერილი აღსავსე მართე-
ბულის გულის წყრომით არ დაიბეჭდება რადგან—1) ჩვენ
გვექმნაგებით და ჯერ, ღვთისით, საიმისო არა გვიჭირს რა,
და 2) თქვენზე არა ნაკლებ ჩვენც გვიკვირს, საიდან ამოი-
კითხეს გულთმისნებმა ჩვენ ჟურნალში (№ 2) რომელიმე პარ-
ტიაზე „ცილის წამება“. ეგ ჩვეულებრივი ტუტყიანი ხელის
ფათური სხვის სულსა და გულში სჩვევიათ არა მარტო პო-
ლიციელთ და გულთა-მხილავთა, არამედ ზობიერთ, უკაც-
რაული სიტყვაა, ამ დროინდელ „პუბლიც-“ისტებს. ხომ მო-
ბეხსენებათ ჩვენებური ბრძნული ანდაზა: „ჩემი არ გითხრა
გული რით მოგიკლაო“, სწორედ ამით აიხსნება მათი „ფსი-
ხოლოგიური ტრანსი“. დასასრულ არ შეგვიძლიან არ გკით-
ხოთ, რატომ თვითონ იმათ არ მიმართეთ, რომელთაც
თქვენ აგრე ავაშფოთათ. შეტველია ისინი უფრო ადვილად
მიგითითებდნენ არავისაგან არ წაკითხულდა არ გაგონილ
„ცილის წამებაზე“...
სხვა წერილებს თუ მოგვეწოდებთ—სიამოვნებით დავ-
ბეჭდავთ.


არჩევნების წინ.

მთავრობის თანამშრომლები „მშვიდობიანობის დამყარებაში“.

ეროვნული
გეგმობითი



აი რა მდგომარეობაშია მარტოების შორის ესლან-
დელი ამომრჩეველი შესაძე „დუმის“ მალადანში.



აი ჩემი მეგობრები, უხვად მივცემ ჩინ მენდელესს.
ხალკდა და შავი ქირა მირჩევნა ღენედელესს.

ეხლანდელ ყრმათა შორის.



— მშვიდობით ნელიკა! სვამას უნდა
ტუილისს გავემგზავრო. ის რხერი „მე-
რეგსაშენოვკა“ მიშელის!..
— აბა კარგად დაიჭირე. თორემ გავკმცევა.

უკრედიტო ადამიანი.

ყველა ჩვენი ბანკი დავიარე, არც ერთმა კრე-
დიტი არ გამიხსნა, ჩემი თამასუქი არ მიიღო და სე-
სხად ფული არ მომცა. ყველამ კრედიტის უღირს
ადამიანად მცნო. ერთ ჩემი სახლის პატრონისათვის
მინც ეკითხათ, ღირსი ვარ მე კრედიტის, თუ არა.
აგერ მეორე წელიწადია სახლის ქირა არ ვაღამი-
ნია, იმდენი კრედიტი მაქვს სახლის პატრონთან...
ჩვენი გამოჩერჩეტებული ბანკირები კი უარს მეუ-
ბნებიან!..

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

მიღებულია ამ სეზონისთვის

მრავალი სხვა და სხვა მანუდის, აბრეშუმის მატყლის მატერიები, შპკუ-
ნიერი ზეჯეულობის მატერიები, ფანდები, ზორტიერები, ტიულები და ხაკურდის
ხალიჩები

დორბუნოვისა

უმთავრესი საწყობი

სოლოლაკს ქუჩა, სახლი გურგენოვისა. ტელეფონი, № 538.

P. S. საქონლის წიმუში ქალაქ გარეთ მსურველებს გაეზანებათ უფასოთ პირველ მოთხოვნისამებრ.